ხუთშაბათი, 29 ივლისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 29 ივლისი, 1904 წ.

ბაზეთის ფასი:

12 თვით	10 მ.	— კ.
11 ,,	9 ,,	50 ,,
10 ,,	8 ,,	75 ,,
9 ,,	8 ,,	— ,,
8 ,,	7 ,,	25 ,,
7 ,,	6 ,,	50 ,,
6 ,,	6 ,,	— ,,
5 ,,	5 ,,	50 ,,
4 ,,	4 ,,	75 ,,
3 ,,	3 ,,	50 ,,
2 ,,	2 ,,	75 ,,
1 ,,	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 174 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 174

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . . 6 მან.
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . . 2 მან. 75 კაპ.
„ „ „ „ ქალაქ გარედ. . . . 3 „ 50 „
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . 2 „ 50 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)
ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
საბუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა—ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფერიდონოვისა, № 9, სერგიევსა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—9)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიძოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. აპეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. ხოლოდაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

მ. ს. ელში. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საზებით ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აურის ყვაილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ხიდიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

ა. ი. ბალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მოსინი. ქალის., საზებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ტყეშელაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საზებით 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. ხოგოლევსკი — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ვორონცოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს—6—7 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

დაშიცაოს ბრძოლა.—სად იქნება უმთავრესი ბრძოლა?—გენერალ კუროპატკინის ძალა.—გრ. კელლერის სიკვდილი.—ჩინელების სამზ დისი.—იაპონელების აბჯარი.—წვრილი ცნობები.

დაშიცაოს ბრძოლაში, გაზეთ «რუს. ვედ.»-ის სამხედრო მიმომხილველის გამოანგარიშებით, რუსების მხრივ ყოფილა 60,000 მეომარი, გენერალ ზარუბაევის უფროსობით, ხოლო იაპონელების მხრივ გენერალ ოქუს მთელი ლაშქარი, რომელშიაც 75,000 მეომარი ითვლება; მათგან რამდენიმე რაზმი უკან იქმნებოდა დატოვებული, ინკოუსა და სხვა ადგილებში.

უმთავრესი ძალა რუსის ჯარისა მარჯვენა მხარეს იყო რკინის გზის ლიანდაგისკენ, რადგან გენერალ ზარუბაევს ამ მხრივ იაპონელების მოვლისა ეფიქრებოდა. იქ იყო გენერალ შტაკელბერგის კორპუსი თავის არტილერიით და გვერდით უდგა გენერალ სამსონოვის მხედრობა (ზღვის მონაპირე დრაგუნები, ციბირისა და ორენბურგის ყაზახები და ცხენის არტილერია). ამ რიგად მარჯვენა ფრთა 31,000 მეომრისაგან იყო შემდგარი. შუბლი ანუ შუაგული შედარებით მცირე იყო, 8,500 კაცამდე, თავის არტილერიით, გენერალ ოგანოვსკის უფროსობით. მარცხენა ფრთა ეჭირათ გენერალ შილეიკოს და გენერალ მიშჩენკოს, რომელთაც 10,000 მეომარი ჰყავდათ. უკან სათადარიგო ჯარები ეყენათ.

რადგან იაპონელებს მეტი ჯარი ჰყავდათ და მეტი ზარბაზნები ჰქონდათ, რუსის ჯარმა მტერი ვერ შეიკავა და უკან დაიწია. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისედაც მცირე რუსის ჯარი 16 ვერსზე იყო გამწკრივებული და მოზავებულ მტერს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

ოფიციალურის ცნობებით, 10 და 11 ივლისს დაშიცაოსთან რუსებმა დიჰკარგეს 37 აფიცერი და 900 დაბალი ჯარის კაცი, სემიპალატინსკის პოლკის დანაკარგი რომ არ ჩავურთოთ, ხოლო საერთოდ უნდა იყოს 900 კაცამდე (105 მარჯვენა ფრთაზე, 200—მარცხენაზე და 600—შუაგულში).

იაპონელების დანაკარგი კი ამას ბევრით აღემატება: ოქუს მოხსენებით—1,200 მეომარი.

11 ივლისის ბრძოლამ იაპონელებს გარდასცა დაშიცაო და ინკოუ, ხოლო შემდეგ ხაიჩენიც თან მიჰყვა.

—

სავაჭრო სააგენტო იუწყება, ლონდონის გაზეთების ცნობებით, გენერალ კუროკის ორი დივიზია ბენსიხოსთან არის, ლიაოიანის ჩრდილო-აღმოსავლეთად, და სამი დივიზიაც—ანპინთან. გერერალ ნოძუს სამი დივიზია ხაიჩენს გასცილებია და გენერალ ოქუს სამი დივიზიაც ხაიჩენის მაღლობზეა, რკინის გზის ლიანდაგის დასავლეთად. სულ იაპონელებს 220,000 მეომარი ჰყავთ ლიაოიანის მიდამოებში. ჰფიქრობენ, გენერალი კუროპატკინი კიდევ ამაგრებს ლიაოიანს დასახვედრადო (ნ. ვ.).

—

ტოკიოდგან უცხოელ გაზეთებსა სწერენ, აქ იმ აზრისანი არიან, რომ გენერალ კუროპატკინს გადაწყვეტილი აქვს ლიაოიანთან შეებრძოლოს მტერს, იქ მოიკრებს ძალ-ღონეს და ხაიჩენიც იმიტომ დასცალაო.

პეკინიდგან დეპეშა მოდის, ჩინეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა და ღონისძიება მიიღო იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა რუსის ჯარმა სანეიტრალო მიწა-წყალზე გადასდგა ფეხი. იუანში-კაიმ დეპეშით დაავალა ჩინელ გენერლებს, რომლებიც თავის ჯარით ჩინეთის საზღვარზე არიან, ყოველი ღონისძიება მიიღეთ და მშვიდობიანად ჩააგონეთ რუსებს, ძალ-მომრეობას არ მიმართონ და სანეიტრალო სახელმწიფოს უფლება არ დაარღვიონო (პ. ვ.).

—

ფრანგული გაზეთები იუწყებიან, ბევრმა ურჩია იაპონიას, ლიაოიანზედ არ გაილაშქროვო, მაგრამ ის თავისას არ იშლის. ამბობენ, ლიაოიანზედ მეოთხე ლაშქარიც მიდისო, რომელსაც გრაფი კელლერი აბრკოლებდა, თუმცა მისი არსებობა, რაოდენობა და ძალა სრულიად არ იცოდა. ეს ლაშქარი ვანზელინის უღელტეხილთან არისო. ამბობენ კიდევ, რომ მეხუთე ლაშქარიც 20,000 ჯარის კაცით მდინარე ციხეს (ლიაოხეს ერთვის) მარცხენა ნაპირით მიდის და უნდა ლიაოიანს ჩრდილოეთიდგან შემოუაროს და რუსის ჯარის მარჯვენა ფრთას დაეცესო. მოახლოვებულ არს ჟამი, რომელსაც გენერალი კუროპატკინი ომის დაწყებიდგანვე მოელოდა. დიდი ომი აუცილებელია. (იქვე).

—

«ბერლინერ ტაგებლატის» სამხედრო კორესპონდენტი იწერება ინკოუდგან:

«წინადაც ის აზრი წარმომითქვამს, რომ გარემოება საერთოდ რუსებს უფრო ხელს უწყობს, ვიდრე იაპონელებს, თუმცა აქამომდე ისინი იმარჯვებენ. ერთ-ორ თვეს შემდეგ რუსებს ისეთი ძალა ექმნებათ მანჯურიაში, რომ იაპონელების ჯარს ფინხუანჩენისკენ უკან მოუვლიან და კორეას შეესევიან. იაპონელებისათვის მხოლოდ ერთს გამარჯვებას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა—ვაფანგოუსთან—და იმითიც ვერ ისარგებლეს. რამდენადაც მე ვიცი, გენერალ კუროპატკინს ამ ჟამად ხუთი ციბირის დივიზია ჰყავს, მეოთხე ციბირის კორპუსი, მეათე კორპუსი, მეჩვიდმეტე კორპუსის ბრიგადა და სხვა და სხვა ნაწილის კავალერია. იმას უნდა ჰყავდეს 120—130 ესკადრონი და 400 ზარბაზანი ექმნება. ამას გარდა ჩრდილო კორეაში ბლომადა ჰყავს ჯარი, გენერალ ლინევიჩის უფროსობით, რომლის სახელი განთქულია 1890 წლიდგან. ეხლა მეჩვიდმეტე კორპუსის გარდა კიდევ მოელიან მეხუთე და მეექვსე ციბირის კორპუსებს და ერთს კორპუსსაც პეტერბურგიდგან. როდესაც მეჩვიდმეტე კორპუსი ჩავა, გენერალ კუროპატკინს ვყოლება 180—190 ათასი მეომარი და, სამი კორპუსიც რომ მიემატოს, 300 ათასი გახდება. ეხლა კიდევ რკინის გზის დარაჯები, სხვა და სხვა ადგილის რაზმები და ლინევიჩის ჯარი. სულ პირველ სეკდემბერისათვის შეგროვდება 450—500 ათასი მეომარი: აგვისტოს ნახევრიდგან, ჩემის აზრით, რუსები წინ წაიწევენ და გამარჯვებული ივლიან. გენერალ კუროპატკინს დიდი ნდობა აქვს დამსახურებული. საერთოდ აქ უფრო მტკიცედ ‚ მშვიდად არიან, ვიდრე ევროპიელებს ჰგონიათ. ნუ დავივიწყებთ რომ რუსის ლაშქარს ეხლაც ის ადგილები უჭირავს, სადაც პირველადვე დაბანაკდა. აქამომდე მხოლოდ მოწინავე რაზმები მოქმედობდნენ. (რ. ვ.).

—

როგორც «პარ. ეხო»-ს კორესპოდენტი ამბობს, გენერალი კუროპატკინი იწერება გრაფ კელლერის სიკვდილის შესახებ: ვანზელინისთან იაპონელების არტილერიის ცეცხლი საშინელება რამ იყო. ერთად ერთი გრ. კელლერი არ შედრკა და თვისი ბანაკი არ მიატოვა. ის თავის ადიუტანტით, ჩვეულებისამებრ, რაზმებს უვლიდა და სალდათებს ამხნევებდა. ნაშუადღევის 2 საათს ის ერთს მაღლობზე გაჩერებულა ბატარეასთან, საიდგანაც მტრის ბანაკი კარგად სჩანდა. ერთბაშად ყუმბარა დაეცა მის წინ და წუთისოფელს გამოასალმა. გრაფ კელლერს ყუმბარის ერთმა ნატეხმა ორთავ ფეხი მოაგლიჯა და გულიც დაუზიანა; მეორე ნატეხმა კი თავი შუაზედ გაუპო.

განსვენებულ გრ. კელლერს უკანასკნელ დროს დაუწერია თურმე: ეს არის ეხლა 117 ვერსი გამოვიარე ცხენით. ჩემი აფიცრები და უცხოელი სამხედრო აგენტები სულ დაღალულ-მოდუნებულნი არიან, მე კი ისე კარგა ვგრძნობ თავს, როგორც არაოდეს. ვმადლობ ღმერთს, რომ 53 წლის კაცს 20 წლის ჭაბუკის ძალ-ღონე მომანიჭა (ნ. დ.).

—

რამდენი სროლა დაიხარჯა ძინ-ჯოუსთან, ამის ანგარიშს ერთ ფრანგულ გაზეთის კორესპოდენტი შესდგომია და აი რასა სწერს:

ნანშანის აღების დროს 180 საბარო ზარბაზანმა 41,000 სროლა დახარჯა ოთხის საათის განმავლობაში.

36,000 ქვეითმა ჯარმა თექვსმეტის საათის განმავლობაში 2,600,000 მასრა დასცალეს.

ზარბაზნის სროლა რომ 20 მან. ჩავაგდოთ და თოფისა—20 კაპ., შესდგება სულ 1,400,000 მანათი, რომელიც ძინჯოუს ბრძოლაში გაფუჭებულა (იქვე).

—

«მართებლობის მოამბის» კორესპონდენტი იწერება ერთს ამბავს, რომელიც

გენერალ კელლერის ჯარში მომხდარა: «ბრძოლის დროს ტყეში ბატალიონის უფროსი გრიშკევიჩ—ცროხიმოვსკი, პატივცემული მოხუცი, რომელსაც ჭაბუკური ცეცხლი ჯერ არ შენელებია, თავის რაზმს წინ მიუძღოდა... ვნახოთ წინ იაპონელი შეეფეთა და შეეტაკა. გრიშკევიჩმა ხმალი მოუქნია და თავში დაუმიზნა, ხოლო იაპონელი არ შედრკა და ხმალი თოფით მოიცილა. გრიშკევიჩმა რავდენჯერმე კიდევ მოუქნია ხმალი და, თუმცა იაპონელი მარდათ იცილებდა თოფით, მაგრამ რავდენჯერმე კი მოხვდა თავში და ვერა დააკლორა. ერთმა მსროლელმა, ვლადისლავ ბობეიკმა, შენიშნა, რომ მისი უფროსი საშიშ მდგომარეობაშია, გაექანა და იაპონელს ხიშტი აძგერა...

—ეგ როგორ მოგივიდა, რომ იაპონელი ვერ მოჰკალიო?— დიცინვით კითხავდნენ მოხუცს აფიცრები,—თქვენი ხმალი ომში გამოსადეგი არა ყოფილა.

—არა, ხმალი კარგი მაქვს,—ცხარობდა გრიშკევიჩი,—ხოლო იაპონელები კაჟივით მაგრები ყოფილან.. იმათ ვერც ხმლით გააპობ და ვერც ლახვრით გაჰგმირავ, ბობეიკის ხიშტმაც-კი ოდნავ შეატანა.

იქნება იმიტომ არ გასჭრა არც ხმალმა და არც ხიშტმა—ამბობს «ნოვ. ვრ» რომ იაპონელებს აბჯრები აცვიათ, როგორც ამას წინად გვატყობინებდნენ? კარგი იქმნება დარწმუნდნენ როგორმე დ, თუ მართლა იაპონელები აბჯარს ატარებენ, ხელთ იგდონ ორიოდე სანიმუშოდ.

—

ნიუ-ჯუანიდგან ევროპიელთა გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, აქ მოვიდა გენერალი მაი, რომელიც სარდალია ჩინეთ-მანჯურიის საზღვარზედ დაბანაკებულ ჯარებისა. მთელ ჩინეთიდგან აქეთ გზავნიან ჯარებს, რომელიც იუანშიკაის დაემორჩილება, პეჩელიის პროვინციის ვიცე-კოროლს. საშიში მდგომარეობაა, რადგან ჩინეთის ზოგიერთა პროვინციებში რაღაც მოძრაობააო. (ბ. ვ.).

—

ანტვერპენიდგან იუწყებიან, აქაურ გაზეთებს უსაბუთო ჭორად მიაჩნია ის მითქმა-მოთქმა, ვითომც ანტვერპენიდგან მრავალ ნაირი საკონდრაბანდო საქონელი იგზავნება გემებით იაპონიაშიო. ამ ხმას ლონდონის გაზეთები ავრცელებენ, რომ რუსებს თვალი აუხვიონ და არ მიახვედრონ, რომ ინგლისის ნავთსადგურებიდგან ყოველ დღე გადიან გემები, რომლებსაც კონდრაბანდი მიაქვთ შორეულ-აღმოსავლეთისკენო. ამას წინად ინგლისიდგან რავდენიმე გემი წავიდა, რომლებზედაც დაშლილი ნაღმოსნები მიაქვთ. გემები ჯერ მანილიას წავლენ და იქიდგან იაპონიასაკენ გაუხვევენო. ბრიუსელიდგან დეპეშით იუწყებიან, კერძო კომისიონერებმა დიდძალი ეკლიანი მავთული დაიკვეთეს იაპონიისათვისო. ეს მავთული აქამომდე კონტრაბანდად არ ითვლებოდა (ნ- ვ.).

—

„ჰავასის სააგენტო“ იუწყება, ინგლისიდგან იაპონიისაკენ ორი გემი წავიდა, რომლებსაც 5 დაშლილი წყალში მავალი ნავი და 6 ნაღმოსანი მიაქვთ იაპონიის ფლოტისათვის. ნავებსა და ნაღმოსნებს ადგილობრივ ააწყობენ. რუსებს გაუგიათ ეს ამბავი და ორი სამხედრო გემი «დონ» და «ურალ» დაუდევნებიათ, რომ ინგლისის გემები საექვო ბარგათ დაიჭიროს. ინგლისი ფაფხურობს, ვითომც აშინებს რუსის გემებს, არა გაბედოთ-რაო და ზარბაზნებიც მოუმართავს საბრძოლველად. მაგრამ ამისთანა მამლაყინწაობას პეტერბურგში ყურადღებასაც არ აქცევენ. (რ. ლ.).

ტფილისი

⁂ გუშინ-წინ, 27 ივლისს, სასამართლოს გამომძიებელ ბ-ნ ჯანიბეკოვთან გამოცხადდა ვიღაც კაცი, რომელმაც შემდეგი უამბო ჯანიბეკოვს: «მე ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველ კასის განყოფილების მსახურად ნამყოფი ვარ, ვლადიმერ სარქიმელია; მე მოვპარე შემნახველ კასის გამგეს ბ-ნ ასლანოვს 1,400 მანათი და მას შემდეგ პოლიცია დამეძებსო. ფულის მოპარვის შემდეგ წაველი ბაქოში, სადაც მოპარული ფული ზოგი ბანქოში წავაგე და ზოგიც ქეიფში დავხარჯეო». გამომძიებელმა სარქიმელია ციხეში დააპატიმრა.

⁂ 22 ივლისს გამოცემულ სასახლის მინისტრისადმი სახელდებულ უმაღლესის ბრძანებით, თავადის ასულს ანნა არღუთინსკი-დოლგორუკოვს ებოძა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა ხელმწიფე დედოფლების ფრეილინობა.

⁂ ამ დღეებში ერევნის გუბერნიაში გაემგზავრა 20 გერმანელი მოგზაური შესანიშნავ ადგილთა დასათვალიერებლად. მოგზაურთ კავკასიაში ხელმძღვანელობას გაუწევს კ. თ. განი.

⁂ დღეს, 29 ივლისს, ექსარხოსი ალექსი კისლოვოდსკის სამკურნალო წყლებზედ მიდის, სადაც ორი კვირა დარჩება.

⁂ შაბათს, 31 ივლისს, ქართულ თეატრის მსახიობი ბ-ნი კ. დ. ყიფიანი ქალ. გორში გაჰმართავს ქართულს წარმოდგენას.

⁂ ალბულაღის (ბელი-კლიუჩის) მცხოვრებთ, 19 ივლისს მიჰმართეს თხოვნით ტფილისის გუბერნატორს, რადგანაც 9 ივნისს მოსულმა სეტყვამ გაგვიფუჭა 365 დესეტინა ადგილის ნათესობა და ამის გამო აუარებელი ზარალი მოგვივიდა, ამიტომ ვერ შევსძლებთ სახელმწიფო გადასახადების გადახდას და გვიშუამდგომლეთ, რომ მთავრობამ გვადროვოს რამდენისამე წლით ამ ხარჯთა გადახდაო.

⁂ თავრიზის სომეხ-გრიგორიანთა თემის ეპარქიის მმართველად, როგორც «მშაკი» გადმოგვცემს, ასახელებენ, სხვათა შორის, ასტრახანის აწინდელ სომეხთა ეპისკოპოსს, არისტაკეს სედრაქიანცს.

⁂ დუშეთის მაზრის სოფ. საშაბუროსა და გრემისხევის სოფლის მცხოვრებთ დაადგინეს განაჩენი, რომლითაც ამ სოფლებში უნდა დაარსებულ იქმნას სკოლა. თითოეული კომლი ვალდებულია სკოლის შესანახად წელიწადში იხადოს თითო მანათი და, ამას გარდა, სკოლისათვის შესაფერი შენობაც უნდა ააგონ.

⁂ დუშეთის ახლო-მახლო სოფლებში ძალიან გავრცელებულია ყივანა-ხველა. ზოგან მძვინვარებს აგრეთვე ყვავილი და სხვა გადამდები სენიც. საჭიროა, რომ ღონისძიებანი იქმნას მიღებული თავის დროზედ ამ სენთა საწინააღმდეგოდ.

⁂ დუშეთში უკვე შეუდგნენ სისუფთავისათვის საჭირო ღონისძიებათა მიღებას. აქაურმა ვაჭრებმა თავიანთი დუქნები შეჰღებეს სრულიად ახალს ფერზედ. ასე რომ ყველა სავაჭროები ამ ჟამად სუფთად არის, მაგრამ სოფლად კი ისევ ისე მთელი გორები სდგას ნეხვ-ნაგავისა და საშინელი მყრალი სუნი ჰაერსა სწამლავს.

⁂ მომავალ სამოსწავლო წლიდგან ტფილისის სამხატვრო სკოლაში დაარსდება მეოთხე კლასიც.

საქართველოს ამბები

ს. ქულაში. ვინ არ იცის და ვინ არ ჰხედავს, რომ ის მეცნიერება, რომელსაც ჰქვიან საექიმო მეცნიერება, ჩქარის ნაბიჯით წინ მიდის, ასე რომ განცვიფრებაში მოდის კაცი, როდესაც კითხულობს, თუ რამდენი ღვაწლი დასდო ამ მეცნიერებამ კაცობრიობის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის საქმეს. მაგრამ ამასთან გიკვირს და ვერ აგიხსნია, თუ რისთვის რჩება გამოურკვეველი ამ მეცნიერებაში ზოგიერთ ავადმყოფობათა მალული მიზეზები და მასთან საბრძოლველად სპეციფიური საშუალებანი, საწყალი სოფელი რამდენს ითმენს უექიმობით და ვინ არის მისი შემბრალე? აქ კიდევ ჰპატრიარქალურად დათარეშობენ მარჩიელები, ჰყვლეფენ ხალხს, აცდენენ ჭეშმარიტ ექიმობის გზას და ჰხდებიან მსხვერპლი თავიანთის უვიცობისა და ამ ცრუ ექიმთა ფარფაშობისა. ან კი რა ჰქნას საწყალმა სოფელმა, როდესაც შორიდამ ექიმის მოწვევას წინ ეღობება მისი ხივთიერი ხელმოკლეობა, რადგანაც სოფლად არ კადრულობენ ბინადრობას არამც თუ ნასწავლი ექიმები, არამედ უბრალო ფერშლებიც-კი. საკვირველია, ღმერთმანი, ზოგიერთი უმაღლესად განათლებულ ყმაწვილ კაცების საქციელი: ვიდრე სამშობლოს გარეშე არიან, რა ნაირად სწუხან ბეჩავის ხალხის მდგომარეობისათვის, რამდენ იმედებს იძლევიან, მაგრამ სწავლის დამთავრების შემდეგ, როდესაც უკან ბრუნდებიან, ეს თავისი სიმპატიური განზრახვა უქარწყლდებათ, სოფელს ზურგს აქცევენ და შორიდამაც არ კითხულობენ მის გაჭირვებას. ამას თავი დავანებოთ. თითქმის, იმ ვალსაც არ იხდიან, რომელსაც იღებენ სასწავლებელში მყოფობის დროს. ამას მოწმობს ჩრდილოეთიდგან გამოგზავნილი და დასტამბული წერილები ადგილობრივს გაზეთებში. რისთვის შესძულდათ ამ ვაჟბატონებს სამშობლო კერა? განა იმისთვის, რომ სოფლად ათიათასობით ჯიბეებს ვერ გაისქელებენ? ორ-სამ სოფელში რომ თითო კერძო ექიმი დაბინავდეს და ხელი გაუწვდინოს გაჭირვებულს ხალხს, შრომისთვის შემოუვა წელიწადში არა ნაკლებ ათას-ხუთას მანეთისა და ეს ფული თავდაპირველად საკმაოდ მიმაჩნია მისთვის. მღვდელს, რომელსაც წელიწადში, კარგი მრევლიც რომ ჰყავდეს, შემოუვა არა უმეტეს ოთხასი მანეთისა, ყოველ დღეს უჭიჭინებენ, ლანძღავენ და მცარცველს უძახიან და ყმაწვილი ექიმი კი ათას-ხუთას მანეთით არ დაკმაყოფილდება? თუ ვინმე მათგანი დაბინავდა სოფელში, ცერებზედ დადგება, რომ მალე გადაფრინდეს უფრო სასარგებლო ალაგას. ვაი ამისთანა ექიმების ხელში სოფლელის ყოფას! განა მარტო შემოსავალზედ უნდა იყოს დამყარებული მათი მისწრაფება? განა მხოლოდ ის არის საკმარისი, რომ ამოიდვან იღლიაში «ტრუბკა» და აკაკუნონ ავადმყოფების გულზედ? საჭიროა, დააკვირდნენ ხალხურ ექიმობასაც, რომელიც ხანდისხან იმისთანა უბრალ საშუალებას აწოდებს ხალხს, რომლის აღმოჩენა არ ძალუძს სამეცნიერო დისერტაციებსაც. განა საჭირო არ არის, რომ ქიმიურად იყოს გამოკვლეული ხალხური წამალი? განა ეს არ უნდა აინტერესებდეს საექიმო საზოგადოებათ? საკვირველია ამისთანა გულ-გრილობა. როდესაც თვითონ ექიმებიც ჰხედავენ დიდ სარგებლობას ხალხურ ექიმობისას. შარშან მე გამიჩნდა თმაში ქერტლი, (**перхоть**), რომელმაც დიდათ შემაწუხა და ექვსის თვის განმავლობაში მოსვენებას არ მაძლევდა. მივმართე ბევრს ექიმს შემწეობის აღმოჩენისათვის და კიდევაც გამომიწერეს წამლები, მაგრამ ყველა ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და, თითქმის, მეტი შეწუხება მომაყენა. ბოლოს მივმართე კნეინა ეფემია ნიჟარაძისას, რომლის მოცემულმა წამალმა სამის კვირის განმავლობაში სრულიად განმკურნა, რისთვის—ვალად ვრაცხ ჩემს თავს—გამოუცხადო გულითადი მადლობა და სამაგიეროდ ვუძღვნა ლოცვა-კურთხევა.

მეორე მაგალითი: ერთს ფოთელ მოხელეს ხელი სტკიოდა და, როდესაც არავითარმა ექიმების წამლობამ არა უშველა-რა «თითქმის», იმათი რჩევით ხელიც უნდა მოეკვეთათ მიჰმართა ს. ქულაშში ერთს გლეხის ქალს, რომლის ექიმობამ ორ კვირაში დაუბრუნა მის მარჯვენას ჩვეულებრივი სიმრთელე და არ გამოასალმა. ამ წუთის სოფელს.

რამდენი ამისთანა საშუალებანი რჩება გამოუკვლეველად ექიმებისაგან!? ჩემის აზრით, საექიმო მეცნიერება ერთის ნაბიჯით წინ წაიწევდა, მთელს კაცობრიობას დიდ სამსახურს გაუწევდა რომ იკადრებდეს და ადგილობრივ, სოფლითი-სოფლად გაეცნობოდეს «ხალხურ მედიცინას».

დეკანოზი ერმოლაოზ კანდელაკი.

გელათის მონასტერში

25 ივლისს.

გულმა ველარ მომითმინა, როდესაც გელათის მონასტრის გაძარცვა გავიგე და დავაპირე ჩვენის დამცირებულ სიწმინდის სანახავად წავსულიყავ, მით უმეტეს, რომ გატანილ ნივთების შესახებ ერთმანეთის წინააღმდეგი ცნობები მოდიოდა. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას.

აი რა მიამბეს გელათის ბერებმა მონასტრის უმთავრეს ტაძრის გაძარცვის შესახებ: ორშაბათს, 19 ივლისს, საღამოს ასე 4 საათზე, როდესაც საღამოს ლოცვა დგებოდა, შემოვიდა ტაძარში ერთი ყმაწვილი, იყიდა სანთელი, დაანთო ერთ-ერთ ხატის წინ, და რა დაინახა, რომ ეკლესიაში სულ 10-მდე კაცი იქმნებოდა მხოლოდ, რომელთაგან ერის კაცთაგანი მხოლოდ ორი მოხუცი იყო *), დანარჩენი კი ბერები (მათ გარდა ერთი შემოსილი მღვდელმონაზონი საკურთხეველში თუ სამსხვერპლოში იყო, რაიცა ვერ შეუნიშნავს ამ ყაჩაღს), დაუძახა თავისს ამხანაგებს, რომელნიც რიცხვით 6, შემოცვივდნენ ტაძარში (ამათ გარდა, ორი ეკლესის დასავლეთის კარებში დაეყენებინათ, ერთი კიდევ—მონასტრის ალაყაფის კარებთან). ამ შვიდმა კაცმა დაიწყო ფარფაშობა. ხუთმა მოუყარეს თავი ტაძარში მყოფ მლოცველ ბერებს, დააწვინეს სულ ყველა იატაკზე საწინდესთან და დაადგნენ თავს ამოღებულ ხანჯლებით. დანარჩენებმა ორმა მოჰკიდეს ხელი ეკონომოსს, რომელსაც ებარა მონასტრის სალაროს გასაღები და ძალით, სიკვდილის მუქარით გააღებინეს სალაროს კარები. შემდეგ ერთი მათგანი გამობრუნ-

---

*) საღამოობით საზოგადოდ გარეშე მოსიარულენი ცოტანი ესწრებიან. ქალაქებიდამ ამოსულნი უფრო წირვაზე მოდიან.

ფელეტონი

ორი სურათი.

I

გაზაფხულის მეორე თვე უკვე იწურებოდა და ახლოვდებოდა მაისი, ეს ვარდ-ყვავილების თვე, ყველა თვეების მეფედ მეფე, საარშიყო, სატრფიალო დრო თავის-გულის წარმტაც და მომხიბლველ მთვარიან ღამეებით. ტყუილად კი არ უთქვამს პოეტს: გაზაფხული ბუნების ქორწინებაა და მაისი კი ზედ დადგმული გვირგვინიო.

დიახ, მართლაც რომ ღირსია ასეთი ხოტბა-ქებისა, მაგრამ რამდენად მართლდება ეს აქ, ჩვენ ამტვრიანებულს და აყროლებულს დედა ქალაქში,—ამისი კი რა მოგახსენოთ. ამიტომ, დადგება თუ არა მაისი, ყველა, ვისაც კი ღონისძიება მოეპოვება სადმე სოფლად გასვლისა, დიდს მზადებასა და ფაცა ფუცშია, რომ რაც შეიძლება მალე დააღწიოს თავი ამ ჯოჯოხეთის გეენიას და სადმე ჩრდილოში შეაფაროს თავი.

ჯერ ისევ აპრილი იყო, მაგრამ ისე გვარიანად ცხელოდა და მწვავედ იკბინებოდა მზე, რომ ოლანეზ მარკოზიჩს «მეფის» მოახლოვება სულ თავსზარსა სცემდა. სრულიად გაფარლალალებული, პერანგის ამარა, მდიდრულად მორთულს ოთახში, თავის საწერ მაგიდასთან ახლო ღრმა სავარძელში იჯდა და საავარაკო ფიქრსა და ოცნებაში იყო გართული. ფანჯრებზე ფარდები ჰქონდა ჩამოშვებული, რომ მზის სხივებს არ შეეწუხებინა ეს კაცთ-მოყვარე ადამიანი; მაგრამ ბუზები კი, ეს თავხედი და შეუპოვარი არსებანი, მაინც მოსვენებას არ აძლევდნენ, თუმცა ოლანეზ მარკოზიჩი მათსავით შეუპოვარი და ჯიუტი ხასიათისა იყო, მაგალითად, მის სახეზე ბუზებს თავისუფლად შეეძლოთ სეირნობა, და ის ოდნავაც არ შეიშმუშვნიდა სახეს, მაგრამ ხანდახან მაინც მძიმედ, ზარმაცად ხელს აიქნევდა ბუზების გასარეკად, და ესეც დიდი შეწუხება იყო მისთვის. ამიტომ ხშირად შესჩივლებდა ხოლმე თავის მეუღლეს: «რა ღმერთი უწყრებათ ამ სწავლულებს, რომ ერთი რიგიანი წამალი ვერა მოიგონეს რა ბუზების გასაწყობათაო». და მართლაც, რატომ არ უნდა ეზრუნა მეცნიერებას ოლანეზ მარკოზიჩის მყუდრო ცხოვრებისათვის. თუ კი ელექტრონი მოუგონია და ათასი სხვა სახალისო, გასართობი, ვითომ ბუზების წამალი რაღა იყო, მერე ისიც უბრალო ხომ არავინ იყო.

ოლანეზ მარკოზიჩი გახლდათ შთამომავლობით აზნაური, მდიდარი მოქალაქე, ათი სახლის პატრონი და გარდა ამისა ტფილისის საუკეთესო ქუჩაზე გამართული ჰქონდა ორი დიდი მაღაზია, რომლის საქონელი №-ს საზოგადოებაში ჰქონდა ცეცხლისაგან დაზღვეული. თუმცა უშვილო იყო, ამ საზოგადოებაში მან თავის საკუთარი სიცოცხლეც დააზღვევინა. რაღაც ნაირად უცნაურად იყო დარწმუნებული, რომ თუ სიცოცხლეს დააზღვევინებდა, უსათუოთ დიდხანს უნდა ეცოცხლა. თუმცა კი, როცა ჩაუფიქრდებოდა, თითონვე გაეცინებოდა და იტყოდა: «ვა, მე რომ იმათ სტრახის ფული ვაძლიო, განა მე ამით სიცოცხლე მომემატებაო», მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა და ყოველთვის ვადაზე შეჰქონდა პრემიები დამზღვევ საზოგადოებაში.

ოლანეზ მარკოზიჩს ქალაქის ყველა წრეებში დიდს პატივსა სცემდნენ, რადგან იგი მარტო თავის თავისთვის არა ზრუნავდა.—არ იყო არც ერთი საქველმოქმედო საზოგადოება, რომ იგი წევრად არ ყოფილიყო. პირუტყვთა მფარველ საზოგადოებაშიაც კი წევრად ითვლებოდა, მაგრამ ეს კი სულ მისი ცოლის ფეფელას ბრალი იყო; თორემ თითონ ძალიან წინააღმდეგი იყო ამ საზოგადოებისა:—ღვთის საგმობ საქმედ მიაჩნდა. მაგრამ ცოლმა აღარ მოუსვენა. ერთხელ ქუჩის ბიჭებმა საყვარელი «ჟუჩკა» გაულახეს და მას აქეთ ჩაციებული ემუდარებოდა ქმარს:—შედი წევრად პირუტყვთა მფარველ საზოგადოებაში, შენ რომ იქ წევრად ყოფილიყავი, ხომ ერთი ათად გადავახდევინებდი იმ «წუწკიშვილებსაო». ბოლოს ქმარიც დასთანხმდა, თუმცა კი დაუმატა—«ეჰ, შენ სიყვარულისა და პატივისცემას რა ვუყოთო».

აქ მინდა, მკითხველო, ოლანეზ მარკოზიჩის სურათიც წარმოგიდგინო თვალწინ, მაგრამ არ ვიცი, ღმერთმანი, საიდგან დავიწყო მის დიდებული გვამის აღწერა. ჩვენ, ადამიანებს, ჩვეულებად გვაქვს, როდესაც შევხვდებით ერთმანეთს, ჯერ სახეზე შევხედავთ ხოლმე, მაგრამ, დასწყევლოს ღმერთმა, ოლანეზ მარკოზიჩს რომ შეეყრებოდი, ჯერ მისი ღიპი გამეჩხირებოდა ხოლმე შიგ თვალში და მერე სხვა დანაშთენ ნაწილებს დავინახავდი. მაგრამ მე მაინც ჩვეულებას არ ვუღალატებ და ისევ ზევიდგან დავიწყობ.

მისი თავი მოგაგონებდათ კარგა მოზრდილ თათრულ საზამთროს, რომელიც მხრებში ისე ჰქონდა ჩამძვრალი, რომ კისერი სრულებით არ უჩანდა, მის ნიკაპს ამშვენებდა სამკეცად ჩამოსული ფაფუკი ღაბაბი, რომელზედაც ხშირად უყვარდა ხელის მოსმა და უცნაურად დაჭიმა, მეტადრე, როდესაც მშვენიერ სქესთა შორის იჯდა და არშიყობდა. ბევრი საექვო ყოფა-ქცევის ქალი ამისა გამო «ღაბუას» ეძახდა და თითონაც ხშირად იტყოდა ხოლმე ოლანეზ მარკოზიჩი,—«ბევრს ლამაზს უკოცნია ამ ღაბაბზეო».—თურმაშაულ ვაშლსავით ჩაწითლებულს და ჩაღვივებულს ლოყებს შუა წამოჭიმული ჰქონდა, ოსურ სახნისსავით მოკაკული ცხვირი, რომელიც ხშირად დატვირთული ჰქონდა ოქროს პენსნეთი; პენსნეს ზედ ნესტოებზე გადაუჭერდა ხოლმე, და სული რომ არ შეგუბებოდა, პირი მუდამ დაღებული ჰქონდა. მის თვალებში, რომლებს შორის ერთი ხშირად ეხუჭებოდა, ვერას ამოიკითხავდით; მეტი მოძრაობა და სიცოცხლე მაშინ თუ შეეტყობოდა, როდესაც ლამაზ ქალს ესაუბრებოდა. ცალი თვალი ამ დროს უფრო და უფრო ეხუჭებოდა და ბოლოს სულ ისე რჩებოდა დახუჭული. თავი მოტვლეპილი ჰქონდა, მხოლოდ ირგვლივ, გარშემო კიდევ დარჩენილიყო ცოტა თმა, რომელსაც ისე ოსტატურად გადაფარცხავდა ხოლმე, რომ მის ბრწყინვალე თავის ელვარება თვალს ისე აღარა სჭრიდა ადამიანს.

როდესაც მის სახის ცქერით, გრძნობა დამტკბარი, გაძღებოდით, ახლა ნელა-ნელა, ციმციმად თვალს სახიდგან ძირს ჩამოაყოლებდით და აქ კი ისეთ რამეს დაინახავდით, რომლის თვალის მოშორება ძნელი-ღა იყო. ამ დროს სულ დაგავიწყდებოდათ, რომ თქვენ თვალ წინ აზნაური ოლანეზ მარკოზიჩი გედგათ.

სადღა იყო ოლანეზ მარკოზიჩი. თქვენი ოცნება შორს, ძალიან შორს გაგიტაცებდათ. თქვენი თავი რაღაც ქონდრის კაცად გეჩვენებოდათ. აი, თითქოს, სულ თან და თან ჰპატარავდებოდით,—ჭიანჭველად, წერტილად გადაიქეცით, თქვენ თვალ წინ რაღაც უზარმაზარი მთაა, ანუ უკეთ უზარმაზარი ბურთი; ამ ბურთზე თქვენი გონება ხატავს მთებს, ზღვებს, მდინარეებს, ქალაქებს; აი დიდებული რესპუბლიკის ქვეყნებიც, აგერ იაპონიაც, პორტ-არტური, გენერალი ტოგო და სხვა წარჩინებულნი მხედარნი და მეომარნი. გაავთრებული, თავზე ხელ აღებული ომია, საშინელი სისხლის ღვრა; სადაც ჯანღი და ბუღი დგება, ვეღარას არჩევთ,—ამ სურათის დანახვით გონება გიბნელდებათ, რიღაცის თქმას ლამობთ; მაგრამ უცებ თქვენ ყურს რაღაც ხმაურობა მოესმის. ეს რუსის ჯარის ხმაა, ხმა გამარჯვებისა: «იდიდოს, იქოს მეფეო» ღრიალებს ბრბო. თქვენ გიკვირთ და გიოცდებათ... ეს ხმაურობა თითქოს თან და თან წყდება, თან და თან ერკვევით.. აი დალახვროს ღმერთმა! თურმე ნუ იტყვით, ეს რაღაც გორასავით რომ ამართულა

და უკან და სანთლების საყიდავ ადგილთან გაშალა ტომარა, მეორემ კი, რომელიც საყდარში დარჩა, ჩაამტვრია არქეოლოგიურ სიძველეთა მინიანი შკაფი და დაიწყო ზიდვა... ნივთები გამოჰქონდა სამრეკლოდან მეორე ამხანაგთან, რომელიც ტომარაში ჰყრიდა. მაგრამ ამ დროს გარედ შეიქმნა თოფის სროლა და ყვირილი: მორიგე მღვდელი, რომელიც შემოსილი ტრაპეზში იყო და რომელიც ყაჩაღებს შეუმჩნეველი დარჩათ, გამოვარდა გარეთ ჩრდილოეთის კარებით, მორთო ყვირილი, მივარდა სამრეკლოს და შემოჰკრა ზარს. აი ამ შემოსილ მღვდელმონაზონს დაუწყეს თოფის სროლა გარედ დარჩენილმა ორმა ყაჩაღმა.

თოფის ხმაზე და მღვდლის ყვირილსა და ზარის რეკვაზე სოფელი შეიძრა. ყველამ, ვინც ყანებში იყო, დაანებეს თავი თოხს და თოფებით მონასტრისაკენ გამოეშურნენ. ტაძარში მყოფ ყაჩაღებს თოფის ხმის გაგონებაზე ეგონათ, ეს არის სოფელმა მოგვისწროვო და უშველეს თავს თავის ტომრიანათ. წაღებული აქვთ სამი თეფში (ერთი მათგანი ბარძიმია 2¼ გირვანქა სულ წმიდა ოქროსი იყო, ძვირფასი ქვებით მორთული), ოქროს ბეჭედი დავით აღმაშენებლისა და 3—4 საკათალიკოსო შესამოსი, პანაგია, მძიმედ მომარგალიტებული, ისე რომ კაცს ხელში აღება ემძიმებოდათ. სარტყელი (ხალხში თამარ მეფისად ხმობილი), აგრეთვე განსაკუთრებით მდიდრულად მომარგალიტებული,

დანარჩენი ნივთები კი, მათ შორის იმერეთის მეფეთა დიდ ძვირფასი სამეფო გვირგვინი, იმერთა კათალიკოზთა და გაენათელ მიტროპოლიტთა მიტრები, კათალიკოზთა წირვის დროს სახმარებელი ქოშები (ხალხში თამარ მეფისად ცნობილი) და სხვები გადარჩნენ ავაზაკთა მურტალ ხელს (სულ მონასტერში გაძარცვამდე 25 ძვირფასი არქეოლოგიური ნივთი იყო, ახლა ბევრად ნაკლებია).

ეჭვს გარეშე კია, ის მღვდელ-მონაზონი ტრაპეზში რომ არ დარჩენოდათ შეუმჩნეველი, არაფერს დაზოგავდნენ და, საფიქრებელია, როგორც ბერებიც ამბობენ, ყოველივე წაეღოთ.

ფულად წაიღეს ვარაუდით 300 მანეთამდე და მეტიც. დანამდვილებით კი არ იციან, რადგან იმ ფულის გარდა, რომელიც საყდარში იპოვეს, წაიღეს კიდევ რაც კრუჟკებში იყო, ხოლო თუ ამაებში რამდენი იყო, არავინ იცის.

ასე და ამ გვარად, ერთს დღეს დავკარგეთ, და იქნება სამუდამოდაც, ძვირფასი ისტორიული ნივთები და დავკარგეთ ჩვენისავე დაუდევრობით. ამდენის სიმდიდრის პატრონს მონასტერს ერთი ხეირიანი ებგური (დარაჯი) არ ჰყავდა დღისით *). მართალია, მონასტერს მიჩენილი ჰყოლია ორი დარაჯი («სტრაჟნიკი»), რომელნიც უწინაც და ახლაც მონასტრის მოშორებით, ასე ორ ვერსზე არიან ბინათ, მაგრამ ვიდრე ისინი ზევით მონასტერში ამოვიდოდნენ (მათ სოფლელებიც ამოჰყვნენ), ყაჩაღებმა თავს უშველეს, რადგან იქავე, მონასტრიდან ორიოდე ნაბიჯზე, ტყეა. ათიოდე წუთი რომ დაყოვნებოდათო, გადმომცა ერთმა ბერმა, ხალხი მოგვეშველებოდა და არაფერს გავატანდითო.

მახსოვს, კარგა ხანია მას აქეთ, სადღაც, მგონი «მწყემსში», წავიკითხე წერილი ისტორიულ ნივთების მონასტრებიდამ მუზეუმებში გატანის წინააღმდეგ.—ეს ნივთები რომ მუზეუმებში წავიდოთ, მონასტრებს დიდება და სახელი მოაკლდებაო. კარგი და პატიოსანი. მაგრამ ამ არქეოლოგიურ ძვირფასს ნივთებს პატრონობა აღარ უნდა? საიმედო დარაჯების მიჩენაა საჭირო. მაგრამ ჩვენ არც ამის უნარი გვქონია. საგონებელი იყო, რომ ამ უბედურების შემდეგ მაინც ისწავლიდენ ჭკუას ისინი, ვისაც ამ მონასტრის ბედი აბარიათ და დარაჯებს დააყენებდენ, მაგრამ ვინ არის პატრონი? მონასტერი ისევ ღვთის ანაბარადაა გაშვებული, როდესაც ჩემთან მოლაპარაკე მოხუცებულ ბერს შევეკითხე, რა არის მიზეზი მეთქი, მან მხოლოდ ხელები გაშალა და მწარედ თავი ჩაიქნია. ეს არ დარჩათ შეუნიშნელი სამს ახალგაზდა ქალს, რომელნიც მოსკოვიდან წამოსულიყვნენ, სხვათა შორის გელათის სანახავადაც, და იმ დღეს ქუთაისიდან ეტლით მონასტერში ამოიარეს ნაწირევს. საკვირველი დაუდევარნი ყოფილხართ ქართველებიო, მითხრა ერთმა იმათთაგანმა. ანუ თუ ძნელი იყო ამ სიძველეთა ან სადმე უშიშარ ადგილს მოთავსება (თუნდა მუზეუმებში), ან და ადგილობრივ ყარაულების მიჩენაო.

ამ ქალებმა დაათვალიერეს მონასტერი და დიდად გულ-დაწყვეტილნი დარჩნენ, როდესაც არქეოლოგიური ნივთები არ უჩვენეს. თურმე ახალის განკარგულებით სიძველეთ მხოლოდ იმათ უჩვენებენ, ვისაც ნებართვა ექნება აღებული. ეს კი ჩვენს ქალებს არ სცოდნოდათ და ნება არ ჰქონოდათ გამოთხოვილი. დიაღ, კარგი და მოსაწონი, თუმცა დაგვიანებული, განკარგულება უნებებიათ. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. მაგრამ არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო ერთი კონტრასტი: უწინ ყველას, ვინ იცის საიდან მოსულს ბიჭ-ბუჭებსაც კი უჩვენებდენ მონასტრის სიმდიდრეს, ახლა კი შორიდან მოსული სტუმრები ხახა-მშრალი გაუშვეს.

ცოტა რამ ძველ და ახლანდელ ქართველთა ფსიხოლოგიის შესახებ. მოვიყვან პირველ მაგალითს, რომელიც კი შემხვდა ჩვენის მატიანის გადაფურცვლის დროს.

«...შეიქმნა კლვა და მოსრვა ნოინთა. და წარმოავლინა (ყაენმა) ელჩი მეფისად (დიმიტრი თავდადებულისად) და აწვია ურდოსა მეფე. მეფემან მოუწოდა კათალიკოზსა აბრაჰამს და ეპისკოპოსთა და ყოველთა მთავართა სამეფოთა მისისათა და ჰრქუა: განრისხებულ არს ყაენი და ყოველი მთავარი მისი მოუწევდიან და აწ მე მაწოდს წინაშე მისსა: ვჰგონებ ბოროტის ყოფასა, თუ არ წარვიდე ურდოსა. და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი და აჰა ყოველი სამეფო წინაშე მათსა ძეს: იხილეთ, რავდენი ქრისტეანე სიკვდილსა მიეცემის და ტყვე იქმნების და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯვარნი დაიმუსრვიან და უკე თუ წარვიდე ყაენს წინაშე, დასტურობით უწყი, მომკლავს, და აწ სიბრძნითა თქვენითა განსაჯეთ. მე ესრედ ვჰგონებ: მრავალ-მღელვარე არს საწუთრო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ; დღენი ჩვენნი სიზმარებრ და აჩრდილებრ წარვლენ და უხმობელ და მსწრაფლ თანაგვაძს წარსვლა სოფლისა ამისგან; რა საჭირველ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი მოკვდეს და მე ტვირთი მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე და იყოს ნება ღვთისა! უკეთუ მე მომკლან, ვჰგონებ ქვეყანა უვნებლად დარჩეს».

ასეთი მაგალითები ბევრია ჩვენს წარსულში. გადაშენდნენ ახლა ასეთი ადამიანნი, არა, მკითხველო?!

ს. კ—ძე.

26 ივლისს 1904 წ.
ქუთაისი.

---

*) ღამით კი მონასტერს დაქირავებული ჰყოლია რამდენიმე ადგილობრივი სოფლელი მონასტრის სადარაჯოდ, თითქოს ავი კაცის ხელი მარტო ღამით მოქმედობდეს.

წერილი
რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

რადგან თქვენს პატივცემულ გაზეთ «ივერიის» 139-ე ნომერში დაბეჭდილი იყო ვინმე «გულის შემატკივარისგან» მოწერილი ამბავი სოფელს დიღომიდგან, რომელიც სრულს ჭეშმარიტებასაა მოკლებული და აგებული სიცრუესა და სიყალბეზედ, — ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ წერილსაც სიმართლის აღსადგენად—თქვენსავე გაზეთში, უმახლობელეს ნომერში.

«გულის შემატკივარი» სხვათა შორის ბრძანებს: «ცოტა ხანში დიღომმა, სხვა გარეშე ხარჯებს გარდა, ბევრი შრომა და ჯაფა გასწია ჯერ სკოლის აშენებაზედაო (სამრევლო სკოლაა), მერე მღვდელისათვის ავგო სახლიო, რომელიც კარგა ფული დაუჯდა და წარსულ შემოდგომაზედ დაიწყო სამმართველოსათვის დიდი შენობის აგებაო და ეს უკანასკნელი კარგა ფული უჯდებაო».

ხსენება სკოლის დაარსებაზედ სოფ. დიღომში სრულებითაც არ ყოფილა 1897 წლამდე; ამ საგანზედ პირველად აღძრა კითხვა ამავე წელიწადს მარტში ახლად მობრძანებულმა—პატივცემულმა მღვდელმა იოელ გამრეკელმა; ამან მაისშივე დააარსა სკოლა, რადგან დიღმის საზოგადოებამ მისი წინადადება გულით და სულით მიიღო; წაიკითხოს ამაზედ ბ-მა «გულ-შემატკივარმა» «ივერიის» ნომრები 46 და 228—1897 წ., რომელშიაც ნათლად დარწმუნდება და სრული ჭეშმარიტებაცაა. მღვდლის გამრეკელისვე მეცადინეობით სოფელს შეეძინა სკოლისთვის სახელმწიფო ადგილი 300 საჟენზედ მეტი, შიგ შუაგულს სოფელში, რომელი ადგილიც ძველის შენობებით (მუხრანსკისეული იყო) თვით ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება და დაუთმო სკოლას 30 მარტს 1898 წ. ძველს შენობების გადასაკეთებლად მღვდელმა გამრეკელმა მრავალ მიწერ-მოწერის შემდეგ სასულიერო მთავრობასთან და თვით მაზრის უფროსთანაც, გამონახა საშუალება-წყარო, იშოვნა 2,300 მ. და რასაკვირველია მან, როგორც ახალი საკოლე შენობის კამიტეტის თავჯდომარემ, კეთილ სინიდისიერად დაამთავრა შენობაც და, შემდეგ მრავალგვარ ტანჯვა-წვალების და შრომისა, ჩააბარა იგი შენობაც სასულიერო მთავრობას 1901 წ. მაშასადამე, სიტყვები «გულის შემატკივრისა», ვითომ დიღმელებს სკოლის აშენებაზედ დიდი შრომა და ჯაფა გაეწიოთ, სრული სიცრუე და სიყალბეა. «გულის შემატკივარის» სიტყვებიდგან ცხადათ ის მტკიცდება, ვითომც მღ. გამრეკელს არავითარიმე შრომა არ გაეწიოს სკოლაზედ, არა გაეკეთებინოს რა; სჩანს მის შრომას, დაუფასებელს მისს ღვაწლს მიწასთან ასწორებს «გულ შემატკივარი», მაგრამ კარგათ უნდა იცოდეს, რომ გამრეკელს ქება-დიდება არ ესაჭიროება,—ჩინებ-ჯილდოების მონატრული არაა, რადგან მას სხვებზედ უკეთესად ესმის, იცის, რომ კეთილი საქმე თვით ღაღადებს. მართალი მხოლოდ ისაა, რომ სოფელმა უფასოდ მოიტანა სკოლის შენობისთვის მასალა, მაგრამ აქ აი რაა სათქმელი: განა დიღმელები, თუ სხვაგან მოვალენი არიან იმუშაონ, მაგალითებრ საქონლით თუ მუშით მამკოდის ან წყნეთის გზებზედ, ანუ ბევრათ სხვაგან სადმე,—მოვალენი არ იყვნენ მუქთად მასალა მოეტანათ შენობისთვის? განა დიღმელების მხრით მასალის მოტანა დიდ შრომა-ჯაფათ ჩაითვლება?!.. რაც შეეხება ფულით გამოღებას, დიღმელებს გროშიც არ გასვლიათ სკოლაზედ.

«გულის შემატკივარი» ბრძანებს, მღვდლისათვის სოფელმა ავგო სახლი, რომელიც კარგა ფული დაუჯდაო». სახლი აშენდა ორის ოთახის და ერთის კუხნით. აქაც, როგორც ზემოდაც მოვიხსენიე, დანამდვილებით ვიტყვი, რომ სოფელმა კი არ გააკეთა მღვდლის სახლი, არამედ თვით მღვდ. გამრეკელმა, რაიც საქმითაც მტკიცდება. მღვდ. გამრეკელმა, როგორც იმ დროს სკოლის ზედამხედველმა, მთავრობის ნება-რთვით, დაუთმო სოფელს სკოლის ადგილი ას საჟენამდე სახლების ასაგებად; გაყიდა ძველი შენობის მასალა 140 მანეთად და ჩააბარა სოფელს; სოფელმა თავის თავზედ გაიწერა ამ საგნისთვის 280 მანეთი; მაგრამ სოფლისგან არჩეულთ პირთ, გლეხებმა: კოტორაშვილმა, გენებაშვილმა და ქობულაშვილმა, ამ ფულიდგან 250 მანეთი შეჭამეს, რისგამო პასუხის გებაშიაც არიან მიცემულნი, რომელი გარემოება მოეხსენება მაზრის უფროსს და მისს თანაშემწეს ბ-ნ გუგუშვილს; ზემოდ მოხსენებულ ფულის გარდა სოფელმა ამავე საქმისთვის მედუქნეებს 200 მანეთი გარდაახდევინა და მოვაჭრე ურიებს 80 მანეთი; მაშასადამე დიღმელებს რა დახარჯვნიათ ნაღდი? 30 მანეთი და კიდევ 70 მანეთი, რომელიც ზემოთ მოხსენებულ პირთ დააბრუნეს 280 მანეთიდგან; მხოლოდ მართალია ესეც, რომ დიღმელებმა მასალა მუქთად მოიტანეს; მაგრამ განა აქ სათქმელია: «კარგა ფული დაუჯდა დიღმელებ როცა სახლის აშენებაო, ბრძანებს «გულშემატკივარი», და ან რით ამტკიცებს??..

„გულის შემატკივარი“ განაგრძობს: სოფელმა სამმართველოსთვის დიდი შენობა დაიწყო დ კარგა ფული უჯდებაო! ამ შენობის საქმეშიაც, როგორც მღვდლის სახლების აშენების დროს, სოფლის ამორჩეულ პირთ: მათე ბერიაშვილმა, დიმ. ქამუტაშვილმა, ანდ. ქობულაშვილმა და ანდ. მძევაშვილმა მოიპარეს კრამიტი, აგური და ფულათ 94 მანეთი და 55 კ., რის გამო სოფელმა დაადგინა: გადახდეთ ეს ფული და სამართალშიაც იქმნენ მიცემულნიო. ეს საქმე გამოვაშკარავეთ მე, ამ სტრიქონების დამწერმა, სუდიამ-ბაგრატ ემირაშვილმა და არტემ ქოჩიევმა; ყოველივე დამტკიცდა მოწმების ჩვენებით; ეს მოეხსენება ბ. გუგუშვილსაც.

«ყველა ყოყოჩობსო, მეტადრე ჯეელობაო, რომელთაც გამოცდილება არა აქვთო, მათთვის ქალაქის სიოს დაუბერნია, ორიოდე მეტი დამახინჯებული სიტყვა უსწავლიათ, უნდათ თავიანთ თავი ძალად მოთავედ გამოაცხადონ» და სხვანი, ამბობს «გულშემატკივარი.» ამ სიტყვებით «გულშემატკივარი» მე მწამებს ცილსა, ერთის სიტყვით ჩემზედ ლაპარაკობს; პასუხად აი რას მოვახსენებ: მე მართალია დიღმელი გახლავართ, მაგრამ ტფილისში გავიზარდე, ხელობით მხატვარი ვარ, ჯერეთ ჯეელი, როგორც გულ-შემატკივარიცა ბრძანებს, ავკარგი გამეგება, უსამართლოებას ვსდევნი, მძულს პირმოთნე ლაპარაკი, პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს, ქურდ ბაცაცებს ვსდევნი; სწორედ მე გამოვააშკარავე სოფლის მუქთა მჭამლები და ქურდები, ზემოდ მოხსენებულნი სოფლისგან აღრჩეული პირნი, რის გამო ისინი გადაყენებულ იქმნენ და მათ მაგიერ ჩვენ, მე და ორი სხვა აგვარჩიეს. რომ არც მე და არც ჩემ ამხანაგსა ძალით არ გვეკისრნია სოფლის მოთავეობა, კანონიერად აგვარჩიეს, მტკიცდება შემდეგიდგან: 20-ს ივნისს მობრძანდნენ დიღომში მომრიგებელი შუამავალი თ. ჩოლაყაშვილი და მაზრის უმცროსის თანაშემწე ბ. გუგუშვილი, რომელთა თანდასწრებით საზოგადოებამ ხელი მოაწერა ერთხმათ განჩინებაზედ და დაგვამტკიცეს აღმორჩეულ პირებათ. ერთი ჰკითხეთ ბ. «გულ შემატკივარს», როგორიღა ღირსეული არჩევა სურს?

«საშინელი მაზეზრობა გაჩნდა დიღომში», ბრძანებს «გულშემატკივარი». რომ სხვის ნაწვავ-ნიადაგი ფული გადაყლაპეს ზემოთ მოხსენებულ პირთ და მათი საქციელი მთავრობას მოახსენეს, ეს განა მაზეზრობაა? იმის სიტყვებიდგან სჩანს ამ გვარი საქმის გამოაშკარავება, ორმოს გათხრა ყოფილა, მათი ოჯახის დაღუპვა, მაგრამ ამას, განა შეგნებული კაცი იტყვის?!...

«გულშემატკივარი» იმასაც ამბობს, ვითომ ბრძანება მომქონდა ხშირად უფროსებისგან და ისედაც აწეწილს საქმეს ვწეწავდი. რატომ «გულშემატკივარი» არ მიგვითითებს, რომელი ბრძანება იყო უკანონო. «გულშემატკივარი» დასძენს, ამ გვარ პირებს «შპიონებს», როგორც აქ ეძახიანო, მოთავე უნდა ჰყავდეთო და, როგორც ხმები ისმის, განათლებული კაცია და საქმიდანაც სჩანსო, თორემ დიღმელი ევრე ოსტატურად ვერ გააბამდა მაზეზრობის ქსელსაო». განა საძრახისია გამოუცდელმა კაცმა განათლებული კაცისგან დარიგება მიიღოს, გზა და სწავლა?!.. ან რა მოთავე იყო საჭირო, როდესაც უიმისოდაც გამოირკვა მართალი და მტყუანი? სწორედ კარგი გულის შემატკივრობა დაუმტკიცა ამით დიღმელებს «გულშემატკივარმა», რომ ყველაფერი გამომაქვეყნებინა.

გიორგი გამყრელიძე.

„ივერიის“ ფოსტა

ნ. ჩ—ძეს. თქვენი ლექსი «სიმღერა» არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 ივლისი

პეტერბურგი. დეპეშა ნამესტნიკისა მის უდიდებულესობას 25 ივლისით: «გენერალ-ლეიტენანტმა სტესსელმა მოგვახსენა: 1) 14 ივლისი. «დღეს, დილის ხუთი საათიდან, მტერმა დასდგა ძლიერი ბატარეია და დაუწყო საშინელი სროლა მთელს ფრონტსა, შემდეგ რამდენიმე იერიში მოიტანა კვლავ მთელს ფრონტზე. საღამოს 8 საათზე ყველგან უკუ ვაქციეთ მტერი დიდის ზიანითა. მე პოზიციებზე ვარ.» 2) 17 ივლისი. «დღეს, დილის ოთხს საათზე იაპონელთა ხუთი დივიზია წამოვიდა ჩვენის პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ვოლჩი გორაზეა. რადგანაც დიდი ძალა იყო მტრისა და პოზიციაც სუსტი, ამიტომ ჩვენს ჯარებს ებძანა სხვა პოზიციებზე გადასვლა. გადასვლა სრულიად წესიერებით შესრულდა არტილერიის შემწეობით, რომელიც ისე მარჯვე ესროდა მტერს, რომ შეაყენა მისი წინ-სვლა. ჩვენი ზარალი დიდი არაა, იაპონელთა ზარალი კი ფრიად საგრძნობელია. იაპონელებს ბრძოლის დროს 13 და 14 ივლისს ჰყავდათ 70 ათასამდე კაცი და საკმაო რიცხვი საალყე ზარბაზნებისა. ჯარი მშვენიერს გუნებაზეა, ჯანზედაც კარგად არიან».

მუკდენი. (საკ. კორ.). ინკოუს აღებამ იაპონელებს ძალიან გაუადვილა სურსათის შოვნა, რადგან სარგებლობენ რკინის გზის ლიანდაგით შანჰაიგუან-ინკოუთი. ამ გზითვე გადაჰყავთ ჯარები სინმინტინისაკენ. მხოლოდ ის არის გადასაწყვეტი, ეს მოვლენა რამდენად შეესაბამება ჩინეთის ნეიტრალიტეტს.—აღმოსავლეთის და სამხრეთის რაზმთა ბრძოლაში 17 და 18 ივლისს ჩვენი მხრიდან მონაწილეობდნენ განსაკუთრებით მოწინავე ჯარები, რომელთა დანიშნულება ის იყო, რომ მტერი შეებრკოლებინათ. ჩვენი ჯარების უკან დაწევა იმ აზრით მოხდა, რომ უფრო კარგი ადგილი დაგვეჭირა. უკან დაწევა მოხდა, რადგან მტრის დიდი ჯარი მოგვაწვა, ზარბაზნები ომით კი არ დარჩათ, ჩვენ თითონ დავტოვეთ, რადგან მტრის ყუმბარებმა დააზიანა.

შანჰაი. ნიუ-ჯუანში იაპონელებმა პროკლამაცია გამოსცეს, რომელშიაც ნათქვამია, ჩვენ ვომობთ იმ აზრით, რომ გადავარჩინოთ ხალხი რუსის მტარვალობისაგან და გავათავისუფლოთ მანჯურია—სამეფო

დედამიწის ნახევარი შარი კი არა, ოლანეზ მარკოზიჩის მუცელი ყოფილა, მუცელი, რომელშიაც მე, თქვენი უმორჩილესი მონა, თავისუფლად მოვკალათდებოდი, ოლანეზ მარკოზიჩს რომ ჩავეყლაპე.

ოჰ, ბევრი სიტკბოება უნახავს და შთანთქმულა ამ მუცელში, მაგრამ მწარე დღეებიც ბევრი უჩვენებია ოლანეზ მარკოზიჩისათვის; ხელიდგან რომ რამე გავარდნოდა, ველარა ღონისძიებით ველარ მოახერხებდა მის აღებას. ეს შეუძლებელი იყო. მაშინვე ზარს დარეკდა, ბიჭს დაუძახებდა და ეტყოდა: —«აბა ერთი, მამა გიცხონდა, მომაწოდეო».—ერთხელ მოსამსახურეებიც აუბუნტდნენ: —„შე დალოცვილო, წამ და უწუმ უბრალო საქმისათვის რო გვეძახი, ვირები ხომ არა ვართო.“! —იფიქრა, იფიქრა ოლანეზ მარკოზიჩმა და ბოლოს გადასწყვიტა, ამ საქმისათვის განსაკუთრებული მოსამსახურე დაეჭირა; მაგრამ, როდესაც ეს გარდაწყვეტილება თავის ცოლს შეატყობინა, —ცოლმა ურჩია: —«რა საჭიროა მეტი ხარჯი.—ერთი გრძელი, მაშასავით ინსტრუმენტი რამე იყიდე და, რაც ძირს გაგვარდეს, იმით აიღე ხოლმეო.»—ასეთმა მოულოდნელმა აღმოჩენამ იგი აღტაცებაში მოიყვანა: —ჯერ ერთი რომ ეს აღმოჩენა მის ცოლს ეკუთვნოდა და მით ამაყობდა და მეორე კიდევ ის, რომ თავადაც ჭკუაში უჯდებოდა. საზოგადოდ ის თავის ცოლის შესახებ ძალიან მაღალი აზრისა იყო და ჭკვიან დედაკაცად სთვლიდა; ამიტომ უიმისოდ თითქმის არა საქმეს არ გააკეთებდა, უსათუოდ რჩევა უნდა ეკითხა ცოლისათვის.

ოლანეზ მარკოზიჩს ბევრი მიწერ-მოწერა ჰქონდა სხვა და სხვა ადგილებში სახლის პატრონებთან «დაჩის» დაქირავების შესახებ და ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, საით უნდა წასულიყო. აი ეხლაც ამ ფიქრში იყო გართული და უნდოდა, ვიდრე ცოლი შემოვიდოდა, წინათვე თავისი საკუთარი აზრი შეედგინა და ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე დამდგარიყო. საწერ მაგიდაზე მრავლად ელაგა წერილები, საანგარიშო ჩოთქი და ახლად მოსული დეპეშა. ბოლოს, როგორც იყო, ერთს ფიქრს დაადგა და ისევ ბორჯომში ამჯობინა წასვლა, რადგან იქ ველიკიკნიაზი ცხოვრობს და მოაგარაკე ქურდობა-ავაზაკობისგან უფრო უზრუნველ ყოფილიაო. ქურდებისა კი ოლანეზ მარკოზიჩს ისე ეშინოდა, რომ როდესაც ამაზე ლაპარაკი ჩამოვარდებოდა, სამჯერ გადაიწერდა პირჯვარს და იტყოდა: «ღმერთმა ყოველი ქრისტიანი დაიფაროს ამ გაჭირებისგანაო.»

დგო.

(შემდეგი იქნება).

დინასტიის სამშობლო. პროკლამაცია იმითი თავდება რომ იწვევს ყველას იაპონიის კანონებს დაემორჩილონ».

მუკდენი. (საკ. კორესპ.). ხმა ისმის, რომ ჩვენი სამხრეთ ფრონტის ჯარები ხაიჩენიდან ანშაჯანის სიმაღლეებისაკენ იწევდნენ. ფიქრობენ, აქ იქმნება დიდი ბრძოლაო.

ვაშინგტონი. განცხადებაში შესახებ სანეიტრალო სახელმწიფოთა უფლებისა აღმოსავლეთში ომის დროს მოხსენებულია: თუ დავთანხმდებით პრინციპით იმას, რომ ნახშირი და სხვა გასათბობი მასალა, აგრეთვე ბამბა უსათუოდ კონტრაბანდია, მაშინ ეს გარემოება იქნამდე მიგვიყვანდა, რომ სანეიტრალო სახელმწიფონი კერძო პირთაც მებრძოლის ქვეყნებისას ველარ მიჰყიდიან იმ საქონელს, რომელიც სამხედრო საჭიროებათათვის გამოსადეგია. ამ ნაირი შეხედულობა, რის გამო ნახშირი, სხვა საწვავი მასალა და ბამბა უსათვოდ უნდა ჩაითვალოს კონტრაბანდად იმიტომ, რომ ეს საქონელი შეაქვთ სანეიტრალო სახელმწიფოებს იმ ნავსადგურებში, სადაც ომი-, დაარღვევდა სამართლიანს კანონიერს უფლებას სანეიტრალო სახელმწიფოებისას.

ლისაბონი. 26 ივლისს საღამოთი, ესე 11 საათზე, ქალაქში და მის მიდამოებში ცოტათ იძრა მიწა, ზარალი არ მოუტანია.

ველინგტონი. ძრიელი მიწის ძვრა იყო. ბევრი სახლები ძრიელ დაზიანდა; ადამიანთაგან არავინ დაზარალებულა.

სტამბოლი. ილდიზ-კიოსკის მინდობილობით, პორტა პასუხს ამზადებს სახელმწიფოების ელჩთა განცხადებაზე ჟანდარმერიის აფიცრების მომატების შესახებ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. პასუხად შეკითხვაზე, პერსიმ განაცხადა, ინგლისსა და გერმანიის შორის არ დადებულა ხელშეკრულობა შესახებ იმ მუხლისა, რომლითაც ინგლისს-საფრანგეთ-ეგვიპტის გამო შეთანხმდენ, მაგრამ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია, არამც თუ დათანხმდენ, როგორც რუსეთი, ქედივის ბრძანებაზე, არამედ იკისრეს არასფრით არ დააბრკოლონ ინგლისის მოქმედება ეგვიპტეში. მეორეს მხრივ ინგლისის მთავრობამ დაარწმუნა ის სახელმწიფონი, რომ ოცდა ათი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს იმათ ვაჭრობას და პატივით მოეპყრობა იმ უფლებებს, რომლითაც ისინი სარგებლობენ თანხმად ხელშეკრულებებისა, კონვენციებისა და ჩვეულებრივის უფლებისა. იმ სახელმწიფოთა სკოლებს მუდამ ექმნებათ იგივე თავისუფლება, რაც წინად. იმ სახელმწიფოს მოხელენი, რომელნიც ეგვიპტის სამსახურში არიან იმისთანავე პატივსა და მგომარეობაში იქნებიან, როგორც ინგლისის მოხელენი.

თავრიზი. ხოლერის შესახებ სანუგეშო ამბები მოდის. იმედია, რომ მალე ხოლერა სრულიად მოისპობა.—ოსმალეთის საზღვარზე ქურთები უწესოებას ჩადიან. იმათ დასამშვიდებლად ცხენოსანი რაზმი გაიგზავნა.

სტამბოლი. ამერიკის საელჩომ გამოაცხადა, რადგანაც ილდიზ-კიოსკისა და პორტის წინაშე აღძრულ საქმეთა შესახებ არაფერი არ მოხერხდა და დღემდე ვერა გააწყორა, თუმცა ბევრჯერ-კი დაჰპირდენ, ამერიკის ელჩმა შესწყვიტა ამიერიდგან მოლაპარაკება და საქმეთა განხილვა იქმნება მხოლოდ პორტასა და სახელმწიფო მდივნის გეეს შორის.

დროებით რედაქტორი **ზრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

23 ივლისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	92 ნის. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	88¾ მშვიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	388 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	298 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	258 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან — 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სასაზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაისხნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილ ს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წლიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.**

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—15)

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებას სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ДЕНИСОВСКІЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.



ვერცხლისა

ოქროსი

ტფილ. გამოფენა.



ქარხანა

ზეთიანის სადებავებისა (კრასკებისა)

ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაირს ფერს ზეთით გადასადებს სადებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცნობს და უცნობს, რომ სადებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა სადებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგილს. მე თითონაც დაუხედავ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დავუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადალო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

---

*) რადგანაც სადებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუძდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული სადებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—6)

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვადა და მშვიდებული იყვეთ **იყიდეთ,** მარტო 4 მან. 90 კაპ., სააუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„ენდოლიანსი“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოებია.

(5—6—)



ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკაიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ЛИЧНОЕ КЛЕЙМО
СОПК
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს,

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—25).

Дозволено цензурою Тифлисъ 28 іюля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи